



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87. 87232772

თარიღი:04/10/2023

განკარგულება №40

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ხორბალოში მდებარე ოთხი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.01.39.002.603; 50.01.39.000.374; 50.01.39.007.606; 50.01.39.007.604) ერთ ლოტად პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორბალოში მდებარე ოთხი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.01.39.002.603; 50.01.39.000.374; 50.01.39.007.606; 50.01.39.007.604) ერთ ლოტად, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის პირობები:

ა) იჯარის წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-პროცენტით:

ა.ა) 23976 კვ.მ (ს/კ - 50.01.39.002.603) მიწის ნაკვეთზე - 1007.00 (ერთიათას შვიდი) ლარით;

ა.ბ) 57576.00 კვ.მ (ს/კ - 50.01.39.000.374) მიწის ნაკვეთზე - 2418,00 (ორიათას ოთხას თვრამეტი) ლარით;

ა.გ) 20556 კვ.მ (ს/კ - 50.01.39.007.606) მიწის ნაკვეთზე - 870.00 (რვაასსამოცდაათი) ლარით;

ა.დ) 7948 კვ.მ (ს/კ - 50.01.39.007.604) მიწის ნაკვეთზე - 385.00 (სამას ოთხმოცდახუთი) ლარით;

(საერთო ფართობი - 110056 კვ.მ, იჯარის ქირის ჯამური ოდენობა - 4680 (ოთხიათას ექვსასოთხმოცი) ლარი)).

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა:

ბ.ა) მიწის ნაკვეთებზე უნდა გააშენოს მრავალწლიანი ნარგავები;

ბ.ბ) ოთხი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ 700000.00 (შვიდასიათასი) ლარის ინვესტიცია;

ბ.გ) ყოველწლიურად დაასაქმოს საშუალოდ 60 ადამიანი.

გ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) წლით.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

დავით ავაზაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

